საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-911

09/11/2018

ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „RMG Gold“-ის მიერ წარმოდგენილია არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი პროექტის სირთულის გათვალისწინებით, ასევე საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია სპეციალისტების მიერ მოხდეს პროექტისა და მისი განთავსების არეალის დეტალური შესწავლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაგრძელდეს „შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების“ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადა 1 (ერთი) თვის ვადით.
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „შპს „RMG Gold“-ს.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „შპს „RMG Gold“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი